

EEU- სტუდენტური პროექტებისა და აქტივობების დაფინანსების წესი



მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში „სტუდენტური პროექტებისა და აქტივობების დაფინანსების წესი“ (შემდგომში – „წესი“) არეგულირებს სტუდენტების მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო, კულტურული, სპორტული პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის გამართვის, საპროექტო წინადადების შეფასების, გრანტის გაცემისა და შესრულების ანგარიშგების მონიტორინგის საკითხებს.
2. წინამდებარე წესის მიზანია, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუქმნას სამეცნიერო კვლევებისთვის სათანადო პირობები და მოტივაცია, მოხდეს ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება, გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი და ამაღლდეს განათლების ხარისხი, გამოვლინდეს წარმატებული და ნიჭიერი სტუდენტები.
3. წესი შემუშავებულია უნივერსიტეტის დებულებებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 2. პროცესის ადმინისტრირება, მონაწილეობის პირობები, პროექტის შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები

1. უნივერსიტეტის მიზნების შესაბამისი სამეცნიერო, კულტურული, სპორტული პროექტების დაფინანსება ხდება უნივერსიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში;
2. საპროექტო წინადადების განხილვის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება **მუდმივმოქმედი კომისია**, რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან;
3. მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი (აკადემიური პერსონალი), სამეცნიერო კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსი; ასევე, სათათბირო ხმის უფლებით, კონკრეტული საკითხის თაობაზე კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაძლებელია, მოწვეულ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.
4. სტუდენტური პროექტის დაფინანსების წინადადებით კომისიას შესაძლებელია მიმართოს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტმა, სტუდენტურმა

თვითმმართველობამ და სტუდენტთა ჯგუფებმა (რომელის შემადგენლობაში გარდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისა, შესაძლებელია შედიოდეს ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და არაუმეტეს ერთი სტუდენტი სხვა უსდ-დან);

5. ერთი სტუდენტური პროექტისთვის უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 5000 (ხუთი ათას) ლარს. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია, ეს ზედა ზღვარი გაიზარდოს. შესაძლებელია თანადაფინანსების არსებობა;
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების გადარიცხვა განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით.
7. გრანტის მოგების შემთხვევაში სტუდენტს უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი თანხა ჩაერიცხება პირად, მიზნობრივ ანგარიშზე, რომელზეც არ დაირიცხება ბანკის მიერ სარგებელი და განხორციელდება ოპერაციები მხოლოდ პროექტის გრანტის ფარგლებში.
8. უნივერსიტეტი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.
9. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი შესაბამისი სამსახურების ჩართულობით უზრუნველყოფს:
 - ა) სტუდენტის მიერ პროექტის დაფინანსების მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშის ფორმების შემუშავებასა და დამტკიცებას;
 - ბ) რეგისტრირებული პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, რაც გულისხმობს წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას ამ წესის მე-10 მუხლით განსაზღვრულ წარმოსადგენ დოკუმენტაციასთან;
 - გ) პროექტის ავტორების ინფორმირებულობას ხარვეზების აღმოფხვრის საჭიროების შესახებ (ასეთის გამოვლენის შემთხვევაში);
 - დ) გამარჯვებული სტუდენტური პროექტების ავტორებთან ხელშეკრულების გაფორმებას, რომლითაც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა დეტალური პირობები;

10. საპროექტო წინადადების განსახილველად დოკუმენტაციის წარმოდგენა:

10.1. უნივერსიტეტის კანცელარიაში უფლებამოსილი სუბიექტის მიერ პროექტის დაფინანსების მიზნით რექტორის სახელზე წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება (დანართი 1);

ბ)სამეცნიერო/კულტურული/სპორტული პროექტი (დანართი 2, პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს PDF ფორმატში, ხოლო ბიუჯეტის და მოთხოვნილი თანხის დასაბუთების ნაწილი – ექსელის ფორმატში, ჩაწერილი CD-ზე);

გ) სარეკომენდაციო წერილი (რომელიც დასაბუთებულად ასახავს პროექტის მნიშვნელობას. რეკომენდაცია წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ);

დ) სტუდენტ(ებ)ის ავტობიოგრაფია (CV) (დანართი 3, PDF ფაილი CD-ზე);

ე) ცნობა სტუდენტ(ებ)ის სტატუსის შესახებ (PDF ფაილი CD-ზე);

ვ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (დანართი 4);

10.2. წესით დადგენილი პირობების დარღვევით წარმოდგენილ დოკუმენტებს არ განიხილავს მუდმივმოქმედი კომისია;

11. პროექტების/აქტივობების შეფასება:

11.1. წარმოდგენილი სტუდენტური პროექტების/აქტივობების დაფინანსების საკითხის განიხილავს მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც იკრიბება პერიოდულად.

11.2. სტუდენტური პროექტების/აქტივობების შეფასების მიზნით თითოეული საბჭოს წევრის მიერ სრულად ივსება შესაბამისი შეფასების ფორმა (იხ. დანართი 5); თითოეული პროექტის შეფასების საბოლოო ქულა წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ პროექტისთვის მინიჭებულ ქულათა საშუალო არითმეტიკულს;

11.3. კომისიის მიერ დაფინანსებაზე წარდგენის მიზნით განხილვას ექვემდებარება მხოლოდ ის პროექტები, რომელთა შეფასების საბოლოო ქულა არის მაქსიმალური 100 ქულიდან 60 ქულის მიღება;

11.4. საპროექტო წინადადებას კომისია განიხილავს განაცხადის წარდგენიდან მაქსიმუმ 20 სამუშაო დღის ვადაში და განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების შეტყობინება ხდება მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

11.5. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარზე მეტი. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

11.6. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არანაკლებ 3 სამუშაო დღის ვადაში წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.

11.7. რექტორის მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ პროექტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კომისიის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში;

11.8. პროექტის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში პროექტის ავტორ(ებ)მა კომისიის სახელზე უნდა წარმოადგინონ პროგრამული და ფინანსური ანგარიში;

მუხლი 3. გარდამავალი დებულებანი

1. კომისიის საქმიანობის ის პროცედურული საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია, დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარება საჯარო გამოქვეყნებას);
2. პროექტები, რომლებიც არ საჭიროებენ უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსებას, წერილობით მოთხოვნაში აღინიშნება, რომ შესაბამისი პროექტი უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსებას არ საჭიროებს და რეალიზაციისთვის აუცილებელი სხვა რესურსებით უზუნველყოფის საკითხს წყვეტს კომისია წინამდებარე დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის რეკომენდაციის თანახმად;
3. საპროექტო წინადადება, რომელიც ითვალისწინებს სპორტული, სახელოვნებო თუ შემეცნებით სტუდენტური კლუბების შექმნასა და მხარდაჭერას, ამ წესის მე-10 მუხლით განსაზღვრული წარმოსადგენი დოკუმენტაციასთან ერთად აუცილებელი წინაპირობაა საპროექტო წინადადებაში დაფიქსირდეს კლუბის მისია, კლუბში სტუდენტური ჩართულობა და წლის სამოქმედო გეგმა, შედეგების შეფასების კრიტერიუმები;
 - 3.1 ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე კომისია აფასებს კლუბების აქტივობების განვლილი წლის მანძილზე და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აგრძელებს ან აუქმებს კლუბის ფუნქციონირებას.
 - 3.2 კლუბი, რომელიც წლის მანძილზე ვერ უზრუნველყოფს მინიმუმ 4 ღონისძიების ორგანიზებას, გაუქმდება შესაბამისი აქტით კომისიის გადაწყვეტილებით და არ დაუფინანსდება პროექტები

მუხლი 4. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტებისა და აქტივობების დაფინანსების წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესით.

დანართი 1



საპროექტო განაცხადის ფორმა

პირადი მონაცემები:

საინიციატივო ჯგუფი/კერძო პირი: _____

კოორდინატორი:

სახელი

გვარი

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

პირადი ნომერი

ელ-ფოსტა: _____

ტელ-
ნომერი: _____

(სახლი)

(მობილური)

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

პროექტის დასახელება:	
პროექტის საკვანძო სიტყვები (გთხოვთ, მიუთითოთ არაუმეტეს 5 ტერმინისა):	
პროექტის სავარაუდო დაწყების თარიღი:	
პროექტის სავარაუდო დასრულების თარიღი:	

პროექტის საერთო ბიუჯეტი (GEL):	
მოთხოვნილი თანხა (GEL):	
დაფინანსება სხვა წყაროდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (GEL):	

ვადასტურებ, რომ წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები:

- სამეცნიერო/კულტურული/სპორტული პროექტი
- სარეკომენდაციო წერილი
- სტუდენტ(ებ)ის ავტობიოგრაფია (CV)
- ცნობა სტუდენტ(ებ)ის სტატუსის შესახებ
- ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

გთხოვთ, განიხილოთ სამეცნიერო/კულტურული/სპორტული საპროექტო წინადადება

სახელი და გვარი (სრულად)

ხელმოწერა

თარიღი

დანართი 2

საპროექტო წინადადება

(არაუმეტეს 10 გვერდისა ფორმულების, ცხრილების, დიაგრამებისა და ნახაზების ჩათვლით; ტექსტი უნდა იყოს აკრეფილი 11 ზომის შრიფტით (სილფაენი), ზომა – A4, ინტერვალი-1,5. გვერდის ველები: მარცხნივ და მარჯვნივ 2,54 სმ.; ზემოთ და ქვემოთ 2,54 სმ)

პროექტის სახელწოდება:

1. პროექტის მიზანი:
2. პროექტის აღწერა (გთხოვთ, მოგვაწოდოთ პროექტის მოკლე აღწერა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს: პრობლემის განსაზღვრა, მიზანი, ამოცანები, განხორციელების გზები):
3. პროექტის დასაბუთება და მდგრადობა (პრობლემა და პროექტის საჭიროება, სამიზნე ჯგუფები, დაინტერესებული მხარეები, პროექტის განვითარება საგრანტო პერიოდის დასრულების შემდეგ):
4. პროექტის შესრულების გეგმა–გრაფიკი (წარმოადგინეთ პროექტის აქტივობების განხორციელების გრაფიკი თვეების მიხედვით (იხ. ცხრილი ნიმუშად).

ეტაპი, ამოცანის დასახელება	ამოცანის შესაბამისი აქტივობა	თვე											
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
I													
II													
III													
IV													

5. პროექტის შედეგები

6. **პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან.** (დაასაბუთეთ არსებული და/ან მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა პროექტის ამოცანების განხორციელებასთან). (იხ. ცხრილი ნიმუშად).

№	პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	არსებული	მიუთითეთ ლოკაცია	შესაძენი
1	ინტერნეტი	+		
2	პროექტორი	+		
3	კომპიუტერი	+		
4	ინვენტარი (დაფა, მერხები, სკამები...) და ფართი	+		
5	ლექტოპი			+
6	ფოტოაპარატი			+
7	დიქტოფონი			+
8	საოფისე კომბაინი			+

7. **ბიუჯეტი** (დაასაბუთეთ ბიუჯეტის თითოეული მუხლი დაგეგმილ აქტივობების შესაბამისად. თანხის ოდენობა (მიუთითეთ ლარებში). წარმოადგინეთ მოთხოვნილი ბიუჯეტი მოცემული ნიმუშის მიხედვით ექსელის ფორმატით (იხ. ცხრილი).

ბიუჯეტის ცხრილი

პროექტის სახელწოდება:	
საინიციატივო ჯგუფის/პირის სახელი, გვარი:	
პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):	
პროექტის საერთო ბიუჯეტი:	
თანადაფინანსების საერთო თანხის ოდენობა:	
უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი საერთო თანხის ოდენობა:	
მოთხოვნილი თანხის დასაბუთება	

N	ხარჯის კატეგორია	პროექტის საერთო ბიუჯეტი			ბიუჯეტის ხარჯვითი კატეგორიებში მოთხოვნილი თანხების მიზნობრიობის განმარტება სიტყვიერად
		ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება	სულ	
1	ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების ან/და სხვა სახის სამუშაოების ხარჯი:				
1.1	კომპიუტერი				
1.2.	სხვა(დაამატეთ შესაბამისი გრაფები)				
	სულ				
2	მომსახურება				
2.1	ბროშურის/საინფორმაციო ბიულეტენის ბეჭდვის ხარჯები				
2.2.	სხვა (დაამატეთ შესაბამისი გრაფები)				
	სულ				
3	სტიპენდია/ხელფასები /ჰონორარები				
3.1.	თანამშრომელთა ხელფასები				
3.2.	თარჯიმნის ანაზღაურება				
3.3	სხვა (დაამატეთ შესაბამისი გრაფები)				
	სულ				
4	საოპერაციო ხარჯები				
4.1.	საკომუნიკაციო ხარჯი				
4.2.	საკანცელარიო ხარჯი				
4.3.	სხვა (დაამატეთ შესაბამისი გრაფები)				
	სულ				
5	სხვა ხარჯები				
	სულ პროექტის ბიუჯეტი:				

დანართი 3

ბიოგრაფიული მონაცემები (CV)

სახელი, გვარი

პირადობის ნომერი

ტელეფონი

დაბადების თარიღი (დ/თ/წ)

ელ.ფოსტა

ვებ გვერდი

მისამართი

1. განათლება

№	წლები (დაწყება– დასრულება)	უმაღლესი სასწავლებელი სდასახელება	აკადემიური ხარისხი/სტატუსი	სპეციალობა
1				
2				

2. სამუშაო გამოცდილება

№	წლები (დაწყება– დასრულება)	თანამდებობა	დეპარტამენტი/განყოფილება	სამუშაო ადგილი (ორგანიზაციის დასახელება)
1				
2				

3. პროექტებში მონაწილეობა

№	წლები (დაწყება– დასრულება)	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი
1				
2				

4. პუბლიკაციები

№	წელი	სათაური	ავტორ(ებ)ი	ჟურნალი
1				
2				

5. ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

№	წლები (დაწყება- დასრულება)	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	ორგანიზაციის დასახელება
1			
2			

6. სტიპენდიები და ჯილდოები

№	მიღების წელი	სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი
1			
2			

7. ენების ცოდნა

ენა	ცოდნის დონე			
	დაწყებითი	საშუალო	კარგი	თავისუფლად

8. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა

პროგრამები	კარგად	დამაკმაყოფილებლად	მწირად

შევსების თარიღი:

პირადი ხელმოწერა:

დანართი 4

ცნობა თანადაფინანსების შესახებ

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სათაური	
პროექტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
წამყვანი ორგანიზაციის სახელწოდება	

თანადამფინანსებელი იურიდიული/ფიზიკური პირი	საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი	თანადაფინანსების თანხა ლარში

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

თარიღი:

ორგანიზაციის ბეჭედი:

დანართი 5

სამეცნიერო პროექტის შეფასების სქემა – ფორმა და კრიტერიუმები

(კომისიის მიერ დაფინანსებაზე წარდგენის მიზნით განხილვას ექვემდებარება მხოლოდ ის პროექტები, რომელთა შეფასების საბოლოო ქულა არის 60)

სტუდენტ(ებ)ის სახელი და გვარი	
პროექტის დასახელება:	
რეკომენდატორის სახელი და გვარი:	
მოთხოვნილი თანხა (GEL):	

№	ინფორმაცია სტუდენტ(ებ)ის შესახებ	დიახ	არა
1	დამაკმაყოფილებელია თუ არა სტუდენტ(ებ)ის აკადემიური მოსწრება		
2	არის თუ არა განმცხადებელი აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სტუდენტ(ებ)ი პროექტის წარდგენის მომენტში?		

№	პროექტის შეფასების კრიტერიუმები	ქულების დიაპაზონი	შეფასება	კომენტარი
1	პროექტის აღწერა - პროექტის მიზანი ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული - ჩანს სტუდენტ(ებ)ის სამეცნიერო ინტერესი პროექტში წარმოდგენილი საკითხების მიმართ	0–10		
2	პროექტის აკადემიური ღირებულება - პროექტში კარგად არის ჩამოყალიბებული სამეცნიერო მიზანი, რომელიც შესაბამისი დარგის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს - განსაზღვრულია, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია საკვლევ სფეროში;	0–15		
3	სამეცნიერო პროცესის/კვლევის წარმართვის ხარისხი - პროექტში ნათლად არის წარმოდგენილი კვლევითი კომპონენტები და კვლევის პროცესი - მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და დასაბუთებული კვლევის	0–15		

	მეთოდოლოგია, რომელიც აღიარებულია შესაბამის დარგში			
4	პროექტის განხორციელების ვადები - რეალისტურად არის გაწერილი პროექტით შესასრულებელი ამოცანების ხანგრძლიობა	0-10		
5	მოსალოდნელი შედეგები - შედეგები აღწერილია ნათლად და დეტალურად	0-10		
6	ბიბლიოგრაფია - მითითებული ლიტერატურა შესაბამისობაშია დარგთან და საკვლევ თემატიკასთან	0-2		
7	ბიუჯეტი - პროექტით გათვალისწინებული ხარჯები ნათლად, დეტალურად და რეალისტურად არის წარმოდგენილი - ბიუჯეტით გაწერილი ხარჯები შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობებს	0-12		
8	კრეატიულობა - პროექტი კრეატიულია ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან მეტ კრიტერიუმთან მიმართებით.	0-5		
9	სტუდენტების CV - კარგად ჩნს სტუდენტ(ებ)ის გამოცდილება, წარმოდგენილია მისი/მათი სამეცნიერო მიღწევები (გამოქვეყნებული ნაშრომები, მოხსენებები...)	0-5		
10	სარეკომენდაციო წერილი - დასაბუთებულად ასახავს პროექტის მნიშვნელობას შესაბამისი დარგისთვის. - რეკომენდაცია წარმოდგენილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ	0-10		
	ჯამი	100		

შემფასებლის
ხელმოწერა:

კულტურული/სპორტული პროექტის შეფასების სქემა – ფორმა და კრიტერიუმები

(კომისიის მიერ დაფინანსებაზე წარდგენის მიზნით განხილვას ექვემდებარება მხოლოდ ის პროექტები, რომელთა შეფასების საბოლოო ქულა არის 60)

სტუდენტ(ებ)ის სახელი და გვარი	
პროექტის დასახელება:	
რეკომენდატორის სახელი და გვარი:	
მოთხოვნილი თანხა (GEL):	

№	ინფორმაცია სტუდენტ(ებ)ის შესახებ	დიახ	არა
1	არის თუ არა განმცხადებელი აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სტუდენტ(ებ)ი პროექტის წარდგენის მომენტში?		

№	პროექტის შეფასების კრიტერიუმები	ქულების დიაპაზონი	შეფასება	კომენტარი
1	პროექტის აღწერა - პროექტით განსაზღვრული ამოცანები და განხორციელების გზები ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული - რესურსები შეესაბამება პროექტის მიზანს	0–15		
2	პროექტის აქტუალობა - პროექტში ნათლად არის დასაბუთებული პროექტის აქტუალობა და მისი მიმართება უნივერსიტეტის მისიასთან	0–15		
3	პროექტის განხორციელების ვადები - რეალისტურად არის გაწერილი პროექტით შესასრულებელი ამოცანებისა და აქტივობების ხანგრძლიობა	0–10		
5	მოსალოდნელი შედეგები - შედეგები აღწერილია ნათლად და დეტალურად - შედეგების შეფასებისთვის მოცემულია კონკრეტული, გაზომვადი ინდიკატორები	0–15		
7	ბიუჯეტი - პროექტით გათვალისწინებული ხარჯები ნათლად, დეტალურად და რეალისტურად არის წარმოდგენილი	0–20		

	- ბიუჯეტით გაწერილი ხარჯები შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობებს			
8	კრეატიულობა - პროექტი კრეატიულია ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან მეტ კრიტერიუმთან მიმართებით.	0-10		
9	სტუდენტების CV - კარგად ჩნს სტუდენტ(ებ)ის გამოცდილება კულტურული/სპორტული მიმართულებით.	0-5		
10	სარეკომენდაციო წერილი - დასაბუთებულად ასახავს პროექტის მნიშვნელობას შესაბამისი დარგისთვის. - რეკომენდაცია წარმოდგენილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ	0-10		
	ჯამი	100		

შემფასებლის
ხელმოწერა: